ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01171933369**

თარიღი: **12.07.2017**

ადრესატი:
თამაზ გიორგაძე
პირადი ნომერი: 01008004205
მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 39 ბ. სახ.13

თქვენი 2017 წლის 30 ივნისის (#19/01171812059-18) განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისი, ვ. ანჯაფარიძის ქ. #2ა (ს/კ #01.15.03.006.019) მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ასევე გაცნობებთ, რომ თუ საპროექტო ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა მოიჭრება სხვა სახეობის ხე-მცენარე, თქვენს მიმართ გატარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური - სამსახურის უფროსი

გიორგი წერეთელი